F4888
3

F 4·888/3

№ 14
1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის მოხსენება

პურის გამოცხობის და მით გამოწვეულ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების შესახებ.

გაფრთხილება და ბრძანება მთავრობის თავმჯდომარისა.

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ქალაქის გამგეობამ მიიღო ბარათი № 4212 მთავრობის თავმჯდომარისაგან, რომელშიდაც ის გვატყობიებდა, რომ მომარაგების მინისტრის ცნობით ქალაქის გამგეობა ნაკლებ ღირსების პურს აცხობს და თავის დროზე არ ურიგებს მუშა-მოსამსახურეთ. ამასთან გვაფრთხილებდა რომ მიგველო ენერგიული ზომები პურის გამოცხობის და მისი თავის დროზე მიწოდებაზე, უკიდურეს შემთხვევაში პასუხისგებაში მიცემას გვპირდებოდა.

ამის შემდეგ ადგილობრივ გაზეთებში იყო ცნობა, რომ მთავრობის თავმჯდომარემ დანიშნა განსაკუთრებული რევიზია პურის გამოცხობის საქმის გამოსაძიებლად, რაზედაც გამგეობა ოფიციალურად ცნობილი არ იქნა. რევიზორმა ბ. ხუნდაძემ საქმის წინასწარ გასაცნობად მოსთხოვა გამგეობის სასურსათო განყოფილებას წერილობითი პასუხი მთელ რიგ კითხვებზე, რაიც სასურსათო განყოფილების მიერ დაუყონებლივ იქნა შესრულებული. ამავე დროს ბ. ხუნდაძემ შემოიარა ქალაქის ყველა წისქვილები. არც ბრალდებები, არც შედეგები რევიზიისა, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, გამგეობას არ სცნობია, რომ ჩვენთვის შესაძლებელი ყოფილიყო ახსნა გარმატების მიცემა.

შაბათს 3 ოქტომბერს გაზეთებში იყო გამოქვეყნებული მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება, რომელიც ქალაქის გამოგეობას ოფიციალურად ეცნობა მხოლოდ 7 ოქტომბერს.

ამ ბრძანებაში მთავრობის თავმჯდომარე, თანახმად რევიზორის ბ. ხუნდაძის და შრომის სამინისტროს და პროფესიონალურ კავშირთა კომისიებისა მოხსნენებსა ადასტურებდა მას, რომ „მომარაგების სამინისტროს მიერ შეძენილ ხორბალში არის მხოლოდ 40—45% წმიდა ხორბალი, დანარჩენი ნაწილი შესდგება, მაწის, ბალახის, ჩალის

F 4·888/3

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის“ და სხვა გარეშე ელემენტებისაგან, რომ მეწისქვილეები მის მიგვარებას, რომ ხორბალი გასწმინდონ, თვითონ უმატებენ ნაგავს და, რომ გამომცხობნი ისეთი ფორმის პურს აცხობენ, რომ მისი სათანადო ღირსებით გამოცხობა ყოვლად შეუძლებელია.

„ილებს რა ზედველობაში ასეთ ალმაშფოთებელ დაუდევრობას და ბოროტ—მოქმედებას, მთავრობის თავმჯდომარე, სხვა ზომებთან ერთად ადგენს: 2. ასეთ უმაგალითო დაუდევრობისთვის საყვედური გამოეცხადოს თფილისის ქალაქის გამგეობას, რომლის ხელშიდაცაა პურის დაფქვა და გამოცხობის საქმე; 3. დათხოვნილ იქნას სასურსათო განყოფილების გამგე ა. რუხაძე, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა პურის საქმის თვალ-ყურის დევნება; 4. დათხოვნილ იქნან ქალაქის გამგეობის კონტროლიორები, რომელნიც ხედავდენ ამ ბოროტმოქმედებას და სდუმოენ.

ხსენებულ ბრძანების შესახებ ქალაქის გამგეობას არსებითად პატივი აქვს მისცეს საბჭოს შემდეგი ახსნა-განმარტება:

მთავრობის თავმჯდომარის მიმართვით № 4212 და მისივე ბრძანებით 29 სექტემბრის თარიღით გამგეობას ბრალი ედება „უმაგალითო დაუდევრობაში“, ყვარგის ღირსების პურის გამოცხობაში და მის თავის დროზე მიუწოდებლობაში. უკეთ რომ ვსთქვათ, გამგეობას ბრალი ედება მაში, რომ იგი გლახა პურს აცხობდა იმ დროს, როცა მას უკეთესი ღირსების პურის გამოცხობა შეეძლო.

დაფქვის ორგანიზაცია ა) დაფქვა მიმდინარე წლის მარტამდის.

როგორც მოგეხსენებათ ხორბალი და ფქვილი ქალაქის გამგეობას გამოსაცხობად ეძლევა მომარაგების სამინისტროსაგან. მარტამდის ხორბალი იფქვებოდა ქალაქის მიერ ჩამორთმეულ მანთაშევის წისწქვილში, აგრეედ წოდებულ „ორთაჭალის ორთქლის წისქვილზე“. მიუხედავათ იმისა, რომ ეს წისქვილი, დალუპვის პირზე მდგომი, ჩამოართვა გამგეობამ რეკვიზიციის წესით ყოფილ მოიჯარადრეს კავკასია-შავიზღვის საზოგადოებას ამ წლის დასაწყისში, დღეს თფილისში საუკეთესო წისქვილად ითვლება და იქ დაფქული ხორბალი სათანადო ზედამხედველობის საშვალებით შედარებით კაი თვისების ფქვილს იძლევა. აილო რა ეს წისქვილი გამგეობამ, სხვა წისქვილებით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სარგე ბლობდა. ამიტომ ამ წისქვილზე დაფქული ხორბალი შედარებით კარგი ხორბალი იყო. ამასგარდა ადგილობრივად დაფქულ ფქვილს ჩვენ ვხმა-

14ვ. 232ა. (ს. ს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდით 25—35%-დის, დანარჩენი 75—65% კი კანადის, ან სხვა ფქვილს ურევდით.

ბ) დაფქვა მარტიდან მიმდინარე წლის სექტემბრამდის.

მას შემდეგ რაც ორთაჭალის წისქვილი მომარაგების სამინისტროზე გადავიდა, გამგეობამ ხორბლის ფქვა დაიწყო წყლის წისქვილზე. მოტორის და ელექტრონის წისქვილებით ჩვენ არ ვისარგებლეთ, ვინაიდან ისინი ძაან გაფანტული არიან ქალალაქის სხვა და სხვა კუთხეებში და ამასთან ფქვილსაც ძაან აფუჭებენ (წვავენ).

წყლის წისქვილები.

თფილისში სულ 11 წყლის წისქვილია. საერთოდ წისქვილის საქმის ჩამორჩენას ჩვენში, არც ადგილობრივი წისქვილებიც ჩამოუარდებიან. საშუალო რიცხვით ეს წისქვილები დღე და ღამეში იძლევიან 100-120 ფუთს. მათ რიცხვში მხოლოდ ორს (ალიხანოვის და იაგუბოვისას) აქვს ცოტათ თუ ბევრად მოწყობილი გასაწმენდი მანქანები. 3 წისქვილს (სტეფ. ბასნოვის, ავეტისოვის და ფ. პარტნოვის) აქვთ უვარგისი გასაწმენდი მანქანები, დანარჩენი წისქვილები კი ხორბალს ფქვავენ სრულიად გაუწმენდლად. ეს წისქვილები უკანასკნელ დროამდის კერძო პირთა ხორბალს ფქვავენ.

2. ზედამხედველობა წისქვილებზე.

ამ წისქვილების მეთვალყურეობა ჰქონდა მინდობილი ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების ტეხნიკურ ზედამხედველობას. თანახმად საბჭოს 1918 წლის 25 აგვისტოს დადგენილებისა და ამავე რიცხვის სავალდებულო დადგენილებისა ამავე ზედამხედველობას მიენდო თვალყურის დევრება, რომ მეწისქვილეებს დაეცვად ნიხრი და რიგი დაფქვისა.

მიუხედავად ამისა, როგორც ორგანიზაცია, ისე ზედამხედველობა დაფქვის საქმეში ბევრ ნაკლს შეიცავდა.

3: მისი რეორგანიზაცია

ამისათვის გამგეობის მთელი ყურადღება ამ წელიწად ნახევრის განმავლობაში აქეთკენ იყო მიმართული. წარსულ წელში დანიშნულ გამოძიებით იქნა შეკრებილი ცნობები ყველა არსებულ წისქვილებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული ზედამხედველობის თანამშრომელთა შემადგენლობაზე, დათვალიერებით, დისციპლინალურ და სხვათა საშუალებით. გასულ წელიწად ნახევარში დათხოვნილ იქნა 10 კაცი ზედამხედველობის გამგის ხომერიკის მეთაურობით. მიმდინარე წლის მაისში ახალ გამგის ბ. ბურიოტის მიერ აღმოჩენილ იქნა ფულის ამკრეფ შახნაზაროვის ბოროტ-მოქმედება, რისთვისაც უკანასკნელი სასამართლოს გადაეცა.

4. ქალაქის ხორბლის გასაუმჯობესებელი საშუალებანი.

ყველა ამ ზომებთან ერთად ამ წელიწად ნახევრის განმავლობაში გამგეობის მიერ იქნა მიღებული ენერგიული ზომები წისქვილების შესაკეთებლად და მუშათა მაგიდის მიერ დრო გამოშვებით მოწოდებულ ხორბლის ღირსების გასაუმჯობესებლად.

უწინარეს ყოვლისა მეწისქვილეებს განყოფილება უჩენდა სრულ დახმარებას წისქვილის გასაუმჯობესებელ მასალების შეძენაში (ხის და რკინის მასალები, მანქანები და მათი ნაწილები და სხვა) და ჩვენი შემწეობით და დახმარებით ბევრმა მეწისქვილემ შეიძინა ასეთები.

მეორე, დაფქულის ღირსების გასაუმჯობესებლად ქალაქის ხორბალი იგზავნებოდა მხოლოდ იმ წისქვილებში, რომელთაც გასაწმენდი მანქანები ჰქონდათ.

მესამე, დაწესებულ იქნა მუდმივი მეთვალყურეობა 14 თანამშრომლისგან, მათ რიცხვში 10 კაცი სპეციალურად ქალაქის ხორბალის დაფქვას უთვალყურებდენ.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ხორბლისა და დაფქულის შორის რაოდენობის დამოკიდებულებას.

მთელი რიგ ამ გვარ ზომებისა იქნა ნახმარი, რამაც სასურველი ნაყოფი მოგვცა.

ბ. დაფქვა სექტემბერს აქეთ.

ამ რიგად სექტემბრამდის წყლის წისქვილებზე იგზავნებოდა მუშათა მაგიდის, შედარებით წმიდა, ხორბალი. ამ პირობებში მისი დაფქვა ადვილ საქმეს წარმოადგენდა და წისქვილები ზედამხედველობასთან ერთად იოლად უდიოდენ საქმეს. რაც შეეხება კერძო პირთა ხორბალს, ის იფქვებოდა იმ წისქვილებში, რომელთაც გასაწმენდი მანქანები არ ჰქონდათ, ეს სრულიად მისაღები იყო, ვინაიდან მათ (კერძო პირებს) უკვე გაწმენდილი ხორბალი მოჰქონდათ წისფქვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. უეცრად ხორბლის ხარისხის დაცემა. ხორბლის გამტვერიანება.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ხორბლის ხარისხი უეცრად დაეცა. მომარაგების სამინისტროს გამოელია კანადის და არგენტინის ფქვილი, და ქალაქს მოსდიოდა მხოლოდ ხორბალი. თუ ქალაქს აგვისტოს განმავლობაში მოუვიდა 31.000 ფუთი კანადის ფქვილი და მხოლოდ 7.000 ფუთი ქერი და ხორბალი, სექტემბერში ეს სურათი სრულიად შეიცვალა. სექტემბერს აქეთ დღემდის დღე გამოშვებით, ან 2—5 დღეში ერთხელ ვღებულობდით კანადის ფქვილს და ისიც ძაან ცოტას. ფქვილის მაგიერ ქალაქი ღებულობდა ხორბალს, არა საზღვარ გარეთისას, არამედ ადგილობრივ ახალ მოსავალს.

ადგილობრივი ხორბალი არ ყოფილა არასოდეს სუფთა, მარა რასაც დღეს ვღებულობთ, ის ყოველივე საზღვარს სცილდება. როგორც თვით მთავრობის თავმჯდომარე ადასტურებს თავის ბრძანებაში, ხორბალი მხოლოდ 40—45% წმინდა პური არის, დანარჩენი კი სხვა და სხვა სახის ნაგავი და გარეშე ელემენტები იყო შერეული, ამასთან ერთად ხორბალი იყო ნოტიო და დახავსებული.

2. წისქვილების და ზედამხედველობის მოუმზადებლობა ახალ პირობებისთვის.

ბოლოს და ბოლოს პრიმიტიულად მოწყობილ და სრულიად მოშლილ წისქვილებს დააწვათ მძიმე ტვირთი: ყოველ დღე უნდა დაეფქვათ 1.500 ფუთი ხორბალი, ისიც გაუწმენდელი და ნოტიო. აქედგან, ბუნებრივია, რომ წისქვილები თავის მოვალეობას ვერ აუდიოდენ. ასეთ უვარგის ხორბლის გაწმენდას და დაფქვას შესძლებს მხოლოდ ტეხნიკურად გაუმჯობესებული წისქვილი. ერთად ერთი წისქვილი, რომელიც სასურველად არის მოწყობილი, ეს სამხედრო წისქვილია, ამიტომაც სამხედრო ნაწილებს ეძლევათ კაი პური. საქმის გაუარესობას ხელი შეუწყო კიდევ ტეხნიკურ ზედამხედველობის უეცრივმა რეორგანიზაციამ. გაივსო რა წისქვილები მუშათა მაგიდის ხორბლით, ამასთან ზედამხედველობაც მოუწყობელი შეიქნა, მეწისქვილეებს სრული საშვალება მიეცათ ბოროტ მოქმედებისა.

3. გამგეობის ზომები, მიმართული კრიზის წინააღმდეგ მთავრობის თავმჯდომარის გაბრთხილებამდე.

გამგეობამ უპირველესად ყოვლისა, როდესაც კი დაიწყო ადგილობრივ ხორბლის ჩაბარება, მიმართა თხოვნით მომარაგების სამინისტროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა მიექცია მას ყურადღება ხორბლის ნაგვიანობაზედ. სამინისტროს ჯერ არ სჯეროდა ეს და გამოსთქვამდა შესაძლებლობას, რომ ქალაქის ქარავანის მოსამსახურენი სუფთა ხორბალში ურევენ ნაგვიან.

ერთდროულად სასურსათო განყოფილებამ გამოსცა ბრძანება ხორბლის მიმღებთა მიმართ, რომ მათ გაესინჯათ ტომრები და არ მიეღოთ ტომრები ნაგვიანი ხორბლით. საქმიანობამ კი დაგვანახვა, რომ უვარგის ხორბლის მიუღებლობით გამგეობა იძულებული შეიქმნებოდა მთლად უფქვილოდ და უპუროდ დაეტოვებინა ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურენი.

სამინისტროს წინაშე მაშინ იქმნა წამოყენებული საკითხი სამინისტროს მთავარ საწყობში მთავარი საწმენდი საწყობის მოწყობისა, საიდანაც იქნებოდა გამოშვებული სუფთა ხორბალი, შეურეველი, რაიც ფრიად გააუმჯობესებდა ფქვილის ღირსებას და შეამცირებდა ზედ-მეტ ხარჯებს (ნაგვის გადაზიდვას).

ვინაიდან ამ გვარ საწყობის მოწყობა გაჭიანურდა (ამ ჟამად ჯერაც არაა, სწარმოობს მხოლოდ მუშაობა და მოქმედობს მხოლოდ 2 სანიავებელი), გამგეობამ დაიწყო საკუთარ საწმენდ საწყობის შენება. გარდაწყვეტილი იყო ამ მიზნით გამოგვეყენებინა დიდოიანცის წისქვილის სარდაფი და დავიწყეთ სანიავებელ მანქანის ძებნა; მეწისქვილეთ მიეცათ წინადადება მოეგვარებინათ სასუფთავებელი მანქანები.

გამგეობის ზომები მთავრობის თავმჯდომარის გაბრთხილების შემდეგ, მხოლოდ მის ბრძანებამდე.

8 სექტემბერს სასურსათო განყოფილების გამგე—გამგეობის წევრი მთავრობის თავმჯდომარის მიერ გამოძახებულ იქმნა აღსნა-განმარტების მისაცემად ცუდი ღირსების პურის გამოცხობის გამო. აღვნიშნეთ წისქვილების და საზედამხედველოს მოუმზადებლობა უეცრად შეცვლილ გარემოებისა გამო, გამგეობის წევრმა აღნიშნა მთავარი მიზეზი შექმნილ მდგომარეობისა—ფრიად დანაგვიანებულ ხორბლისა, თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა ხორბლის დაფქვის საქმეში ნაკლულევანებას-და ფიქრობდა რომ ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ხორბლის ადგილობრივად მიღების დროს. მთავრობის თავმჯდომარის მიერ მიცემულ იქმნა წინადადება, რათა მიგველო ყოველივე ზომები პურის ღირსების გასაუმჯობესებლად.

ამ დღიდან ხორბლის დაფქვის და პურის ცხობის საქმის დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელი ხელმძღვანელობა იკისრა თვით გამგეობის წევრმა, რომელიც ყოველდღე დილის 7 საათიდან პირადად ანაწილებდა შრომას და აძლევდა თანაშრომლებს შესაფერ განკარგულებებს.

უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო მოგვეგვარებინა სამინისტროსაგან ხორბლეულის და ფქვილის ორდერების სწრაფი მიღება და მოცემა კანადის ფქვილის და ხორბლისა, რომ თავიდან აგვეცილებინა უვარგისი პურის ცხობა მხოლოდ ქერის ფქვილიდან. ამას მივაღწიეთ პირადად გამგეობის წევრის ყოველდღიური სიარულით სამინისტროს თვითეულ განყოფილებებში ორდერების მისაღებად.

შემდეგ საჭირო იყო მოგვეგვარებინა ხორბლეულობის და ფქვილის გადაზიდვის საქმე. თუმცა, თანახმად სასურსათო განყოფილების მიერ ა. გ. რუხაძის თავმჯდომარეობით საგანგებოდ მოწვეულ თათბირის დადგენილებისა 16 ივლისს ა/წ (დამატება №№ 19 და 20), ნაწილი ქარავანისა საგანგებოდ იქმნა გამოყოფილ ხორბლეულობის გადასაზიდად, მაინც ამ მუშაობას ემჩნეოდა ზოგიერთი ნაკლი. ამ საქმის მოგვარებამ მოგვცა საშუალება გვესარგებლა მხოლოდ იმით, რომ აღებული ხორბლის თუ ფქვილის მოჭარბებული ნაწილი გადაგვეზიდა ერთ წისქვილიდან, თუ პურის საცხობიდან მეორეში.

მოვათავეთ სანიავებელ მანქანების ძებნა ნაღიდია 5 ცალი. გასწილია 17 სექტემბრიდან მთავარი სასუფთავებელი საწყობი და ამ დროიდან სამინისტროსაგან მიღებული ხორბლეულობა პირველად იწმინდება ამ საწყობში სანიავებელ მანქანის საშუალებით.

ვინაიდან უხერხულია ერთ და იმავე საწყობში მუშათა მაგიდის და კერძო ხორბლის შენახვა და მოთავსება (შესაძლებელია შეცვლა, კერძო ხორბლის ფარული დაფქვა), მეწისქვილეთა საწყობები, რომელნიც ემსახურებიან ქალაქს, სრულებით განთავისუფლებულ იქმნენ კერძო ხორბლისაგან 23 სექტემბრისთვის.

ერთდროულად, სახელმწიფო ხორბლის განუწყვეტლივი დაფქვის გამო, გარდაწყეტილი იყო თვითეულ წისქვილზედ საზედამხედველოს აგენტის მუდმივი ყოფნა, რითაც შეცვლილ იქმნა ძველი წესი: ერთი აგენტი 2—3 წისქვილისათვის. ამ მიზნით გავაფართოვეთ საზედამხედველოს შემადგენლობა და შეუდექით ახალ თანამშრომელთა შეგროვებას იმ ორ აგენტის გარეშე, რომელნიც მივიღეთ ივლისის თათბირის დადგენილებით (დამატება № 19), პარალელურად კი ვითდოვდით იმ პირთ, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო იყვნენ შეუფერებელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათხოვნილ იქმნა აგრედვე საზედამხედველოს გამგე ბურიოტი (27 სექტემბერს). ამ უამად ივითეულ წისქვილზედ სწარმოოპს სამმაგი მორიგეობა, საწყობის გასაღები კი ინახება: ერთი მეწისქველესთან, მეორე კი გამგეობის აგენტთან, შემუშავებულია ახალი ინსტრუქცია აგენტებისათვის.

ვინაიდან არსებობას მჭიდრე კავშირი წისქვილებს და პურის საცხობებს შორის, მართვა-გამგეობა როგორც ერთის: ისე მეორეს 23 სექტემბრიდან შეერთებულია ერთის ხელში—პურის ბიუროს გამგისა, როგორც ამ საქმის პირდაპირი ხელმძღვანელისა.

16 სექტემბერს დაარსებული იყო საგანგებო კომისია მუშათა მაგიდის წარმომადგენლის თანადასწრებით წისქვილების მდგომარეობის და შესაკეთებლად საჭირო მასალის გამოსარკვევად. ვინაიდან მოწისქვილეთ არ სურდათ სასუფთავებელ მანქანების შეკეთება, მათ დრო გამოშვებით ასწორებდა თვით საზედამხედველო პატრონის მიერ მონაწილეების მიუღებლად. შეკეთება ძნელდებოდა და ძნელდება საჭირო მასალას უქონლობის გამო.

თვითეულ წისქვილში ეს ნამუშავარი ამ სახით წარმოიდგინება: ალიხანოვის წისქვილზედ შეკეთებულია ბურატი და სასუფთავებელ მანქანის საცერი, ავეტისოვისა—საცერი, სტ. ბასინოვისა—სასუფთავებელი მანქანა, ვ. პორტნოვისა II—დაყენებულია საცრები ფქვილის გასაცრელად.

მუშაობა წისქვილების ტეხნიკურად გაუმჯობესების შესახებ ჯერ დამთავრებული არაა და, შეიძლება, დაგვჭირდეს კიდევ ორი კვირა დასახულ გეგმის განსახორციელებლად.

ამ გვარი იყო გამგეობის მუშაობა წისქვილებზედ. წელიწად ნახევრის ამ დარგში მუშაობის დროს აღსანიშნავია მთელი რიგი ზომების მიღებისა, განუწყვეტლივი ზედამხედველობა და წისქვილებზედ საქმის დაყენების გაუმჯობესება. ეს საქმეში, როგორც სხვა დანარჩენში, ექნებოდათ ადგილი ნაკლს, შეცდომებს, მაგრამ განა ეს იძლევა საბუთს ქალაქის გამგეობას დაბრალდეს „უმაგალითო დაუდევრობა“?

პურის ცხობის საქმის მოწყობა და ამ დარგში გამგეობის მიერ მიღებული ზომები.

პურის ცხობას გამგეობა აწარმოებს № 2 საკუთარ პურის საცხობში—მუხრანის ხიდთან, ორ იჯარით აღებულ პურის საცხობში: სახელმწიფო თეატრის ახლოს და ავლაბარში (№№ 1 და 5) და ახლად გახს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილ № 3 პურის საცხობში ელისაბედის ქუჩაზედ № 113, რომელსაც ამუშავებს მოიჯარადრე.

უმთავრესი ყურადღება გამგეობის მიერ მიპყრობილი იყო № 2 პურის საცხობში საქმის სწორ დაყენებაზედ, რომელიც ამ ჟამად ყოველ-დღიურად აცხობს 900 ფუთს პურს და აქვს უნარი 1.600 ფუთ პურის გამოცხობისა.

წასულ წელიწად ნახევრის განმავლობაში, ამ დარგში გაწეულ ზომების შედეგად, გამგეობამ მიაღწია საქმის ჯეროვანად დაყენების გაუმჯობესებას. საჭირო იყო გვეხმარა დიდი შრომა, რომ შეგვერჩია ასე თუ ისე იოლი შემადგენლობა მუშებისა და ადმინისტრაციისა და აგვეცილებინა თავიდან მუდმივი პურის გაფუჭება, რაიც ხშირი იყო ქალაქთა კავშირისაგან პურის საცხობის დაბრუნების პირველ თვეებში. მუშებთან ამ ნიადაგზედ ხშირი იყო უთანხმოება და ეს საგანი არა ერთხელ გამხდარა თავ-სამტვრევ საკითხად გამგეობის და პროფესიონალურ კავშირის საბჭოს მორიგ და სასწრაფოდ მოწვეულ კრებებზედ. შარშან რამდენჯერმე სწარმოობდა ახალ მუშების შეგროვება, იქმნა მიღებული მკაცრი ზომები მუშების მიერ პურის მოპარვის წინააღმდეგ (დაპატიმრება ამ ნიადაგზედ შარშან და წელს), იქმნა შემუშავებულ და გატარებულ ცხოვრებაში ინსტრუქცია პურის საცხობლად და დადგენილია პასუხისმგებლობა თვითეულ ჯგუფისა პურის გამოცხობაზედ გაფუჭებულ პურის ან ნამცხვარის დანაკლისის დროს პურის ღირებულობის ჯამაგირიდან გამორიცხვით, შემუშავებულია და განხორციელებული სასტიკი ანგარიში სახარჯავ მასალის ნორმის დასაცველად (მაზუთი, მარილი, შეშა და სხვა).

რამდენჯერმე შეცვლილ და შეკეთებულ იქმნა ფორსუნკები, პურის ყალიბები, საცრები, რამდენადაც შესაძლებელი იყო მასალის შოვნა, გაკეთებულია ჰაერის საწმენდი და სხვა.

ამასთანავე თან დართული ზოგიერთი მასალები ცხად ჰყოფენ ამ დარგში გამგეობის მძიმე და საგრძნობ მუშაობას.

შედეგად ამისა გამგეობამ მიაღწია, ჯერ ერთი, ნამცხვარის შესამჩნევლად მომატებას. შარშან აპრილში 19,05 გირვანქიდან ნამცხვარი თანდათან მატულობდა, ამ ჟამად მიაღწია ერთნაირ დონეს — 13-20 გირვანქას ფუთზედ.

მეორე, ტეხნიკურად გაუმჯობესების და ფხიზელი კანტროლის წყალობით, შესამჩნევლად გაიაფებულია პურის ცხობის ღირებულება, რაიც ქალაქს და სახელმწიფოს აძლევს შელავათს არა ერთ ასეულ ათას მანეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ფუთის პურის ცხობა ჯდებოდა: 1919 წლის აგვისტოში — 18 სექტემბერში — 15 მან., ოქტომბერში — 9 მან., ნოემბერში და დეკემბერში — 11 მ. 50 კ. 1920 წლის იანვარში — ჯამაგირების მომატებასთან დაკავშირებით — 20 მ. 70 კ., თებერვლიდან ივნისამდე — 21 მ., ივნისში — 34 მ., ივლისში — 32 მ., აგვისტოში — 44 მ. 62 კ. (ახალი მომატება და სათბობ მასალის გაძვირება).

პურის ღირსების გაუმჯობესების და წარმოების გაიაფების მიზნით გამგეობა ჯერ კიდევ მარშან აწარმოებდა მოლაპარაკებას ფრანგულ ფირმასთან ქალაქის მექანიკურ — პირველ ხარისხოვან პურის საცხობის საჭირო მასალების ჩამოსატანად და დასაყენებლად. (დამატება № 47). მოლაპარაკებამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს ხელმიუწდომელ პირობების გამო თვით ფირმის მხრივ.

მხოლოდ ამ ზაფხულს გამგეობამ თბილისში იშოვნა მექანიკური ცომის საზელი, ფქვილის საცრელი და მის პატრონთან ხანგრძლივი მოლაპარაკების და საგანგებოდ არჩეულ კომისიის მუშაობის შემდეგ, სადაც შედიოდა მუშათა მაგიდის წარმომადგენელი, დადებულია ხელშეკრულობა სექტემბრის ოც რიცხვებში მექანიკურ სამუშევრის დასამთავრებლად.

ფქვილის ღირსების უცაბედად დაცემის შემდეგ, მუშათა მაგიდასთან შეთანხმებით, მიღებულია საგანგებო ზომები პურის ღირსების ერთ დონეზედ შესაჩერებლად: ნაწილობრივად შეკეთებულია №№ 2 და 5 პურის საცხობების საცრები, შეკვეთილია № 3 პურის საცხობისათვის ახალი ყალიბები, სადაც, წინააღმდეგ ხელშეკრულობისა, ნაწილი პურისა ცხვებოდა განსაზღვრულ ზომის მიუხედავად, დადგენილია ქერის ფქვილის ორმაგი გაცრა, გაცრა ჯერ ქერის ფქვილისა, შემდეგ ხორბლისა და შეუდექით საგანგებო ორმაგ საცრების დამზადებას ფქვილის საცრელად.

ამ ჟამად მოვიწვიეთ კიევიდან ახლად ჩამოსული პურის ცხობის საქმის სპეციალისტი, რომელმაც აგერა ერთი კვირაა, რაც დაიწყო გამგეობაში მუშაობა.

ამის შემდეგ შეიძლება თუ არა ლაპარაკი გამგეობის „უმაგალითო დაუდევრობაზედ“, პურის ღირსების გასაუმჯობესებლად ზომების მიუღებლობაზედ? მართალია, ნაკლი იყო და ამ ჟამად არის კიდეც, ვინაიდან ბინის სივიწროვე, არ ყოლა საკმარისად გამოცდილ და პასუხის მგებლობისათვის შეგნებულ თანამშრომლებისა, საერთო მძიმე პირობები, რომელშიაც იმყოფება ახლა ყოველივე წარმოება, და ბოლოს ხორბლის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილის ღირსების ა/წ სექტემბერში თვალ-საჩინოდ დაცემა ყველა ამ-
უცბად გამოსწორება არ შეიძლებოდა. გაივლის, ალბად, ბევრი დრო
ვიდრე მოვახერხებთ საქმის ისე დაყენებას, როგორც სასურველი იქნე-
ბოდა. მუშათა კომისია, პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატის
მიერ არჩეული, გაეცნო რა საგანგებოდ პურის გამოცხობის საქმეს, თა-
ვის მოხსენებაში (დამატება № 48) ამოწმებს, რომ „პურის ცუდ ღირ-
სებაში ყველაზედ ნაკლები დანაშაული მიუძღვით პურის საცხობებს,
თუმცა ესენიც არ არიან უნაკლულოდ: ფქვილი იცრება სხვილად და
გაცვეთილ საცრებში“.

პურის ნაკლულევანება და ამის მიზეზი.

უმთავრესი ნაკლულევანება პურისა, რომელიც ცხვება ქალაგის გამ-
გეობის მიერ, არის მისი დიდი სისველე და სიმძიმე.

მთავრობის თავმჯდომარე ამ მიზეზს ხსნის იმით, რომ პური ცხვება
არა შესაფერისი ზომის და ფორმისა.

ნამდვილად ასეა თუ არა?

პურის შემადგენლობა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სექტემბრის თვიდან ფქვილის შე-
მადგენლობა ძალიან შეიცვალა. სექტემბრამდინ კანადის ფქვილი იხარ-
ჯებოდა 60%-მდე ერთ ფუთზე, სექტემბრის პირველ რიცხვებიდან, სა-
მინისტროში კანადის ფქვილის, ხორბლის და ხორბლის ფქვილის უქონ-
ლობის გამო, გამგეობა იძულებული შეიქმნა რამდენიმე დღეს გამოეცხო
პური მხოლოდ ქერის ფქვილიდან, რაიც ფრიად ნაგვიანი იყო. ამას დაუ-
მატოთ ისიც, რომ ნაწილი ქერისა (5,000 ფ.) იყო შავი, რაიც არ იხმა-
რება პურისთვის. გამგეობა მიუთითებდა ამ გვარ ქერის ხმარების შე-
უძლებლობას, მაგრამ ვარგისი ქერის უქონლობის გამო, ვხმაროობდით შავს.

ვინაიდან წისქვილები თავის სასუფთავებელ მანქანებით ვერ ასწრებ-
დნენ დღე-ღამის განმავლობაში საჭირო რაოდენობის ფქვილის დაფქვას,
მოგვიხდა პურის ცხობის შემცირება, 800—900 ფუთამდე დღე-ღამეში.
სექტემბრის 10 რიცხვებიდან გამგეობამ კვლავ დაიწყო მიღება მცირე
რაოდენობით ხორბლის და კანადის ფქვილისა, რის გამო შესაძლებელი
გახდა პურის ღირსების მცირედ გაუმჯობესება. პირველ ხანებში იძლეო-
დნენ 60% ქერის ფქვილისას, 25% ხორბლისას და 15% კანადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილისას. შემდეგ 40% ქერისას და 30—30% ხორბლისას და კანადისას, ამ ჟამად ფქვილის შემადგენლობა ამ გვარია: 40%—ქერისაა, 50%—ხორბლისაა და 10% კანადისაა.

უნდა ითქვას, რომ ამ გვარი პროპორციით ხელმძღვანელობა არ გვიხდება სულმუდამ კანადის ფქვილის უქონლობის გამო. ამ ჟამად პური ცხვება კანადის ფქვილის შეურევლად, მხოლოდ ადგილობრივ ქერისა და ხორბლისა.

მომარაგების სამინისტროს ფქვილის ღირსება.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ის ხორბალი, რომელსაც ეხლა ვღებულობთ მომარაგების სამინისტროსაგან ისევე ნაგვიანი და ხშირად მდარე ღირსებისაა, როგორც უწინ, რასაც მოწმობს ამასთანავე თან დართული ოქმები და ნიმუშები.

ფქვილის საქმეც ვერაა კარგად, რომელსაც ზოგჯერ ვღებულობთ ორთაჭალის წისქვილიდან, ან სამინისტროს საწყობიდან.

მაგალითად, 4 ოქტომბერს სამინისტროს წისქვილიდან № 2 პურის საცხობში გადმოტანილი იყო ქარავანის სატვირთო საბუთებით №№ 633 და 644—498 ფ. და 30 გირ. ხორბლის ფქვილი, რაშიაც კომისიამ, შემდგარმა სასურსათო განყოფილების და მუშათა მაგიდის წარმომადგენელთაგან, აღინიშნა შემადგენლობა ქერისა, ლობიოსი, ფეტვისა დი სხვა გარეშე ნივთიერებისა (დამატება № 49). ამავე პურის საცხობში მოტანილია 2 ოქტომბერს იმავ წისქვილიდან სამინისტროს საბუთებით №№ 3971 და 4122, ხოლო ქარავანის სატვირთო საბუთებით №№ 621 და 622—488 ფ. და 12 გირ. ხორბლის ფქვილი გემოთ მწარე მიწა ნარევი, ქვიშიანი, ლობიოანი, ქატოს დიდი შემადგენლობით და წმინდად დაფქვილ ჩალა ნარევი. (დამატება № 50). მე—3 პურის საცხობში იქიდანვე 29 სექტემბერს მოტანილია ქარავანის სატვირთო საბუთით № 35—55 ფუთი ხორბლის ფქვილი გემოთ მწარე, რაშიაც ერია ქვიშა, მიწა ლობიო, ქერი, ბრუალა—და მათრობელა. ფქვილი ცნობილია როგორც უარგისი (დამატება № 51).

27 სექტემბერს სამინისტროს საწყობიდან №№ 2 და 5 პურის საცხობებში გადმოზიდულ ფქვილში (კერლიკი) ერია იმდენი ქერი, ლობიო და სხვა ნივთიერება, რომ იგი როგორც პურის გამოსაცხობად ცნობილია უვარგისად (დამატება №№ 52 და 53),

შესაძლებელია თუ არა ამ პირობებში კარგი ღირსების პურის დამზადება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხი ფორმების შესახებ.

საგანგებო კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ წარმომადგენელნი: გამგეობისა, მუშათა მაგიდის კანტროლიორები პლეშჩუკი და მიხაილიდი ამ საკითხის გამოსარკვევად 7 ოქტომბრეს ა/წ მოახდინა ორნაირი ხარისხის საცდელი პურის გამოცხობა: 60% ხორბლის და 40% ქერის ფქვილისა. პური ცხვებოდა სხვა და სხვა ყალიბებში: გრძელი და მოკლე ვიწრო და განიერი, მაღალი და დაბალი. „გაშინჯვამ დაგვანახვა, რომ სისველე არის თვითეულ ნაცად პურში და განსხვავება ისეთი უმნიშვნელოა, რომ ყველა ნაცადი ფორმები მისაღებია პურის გამოსაცხობად. „მხოლოდ კანადის ფქვილისაგან ნაცად პურში სისველე ნაკლებია". „კომისია ერთხმად ამტკიცებს, მიზეზი პურის დიდი სისველისა მდგომარეობს არა ფორმებში (მაინცა და მაინც დიდი ფორმები არც ერთ პურის საცხობში არ არის)' არამედ ქერის ფქვილის დიდ პროცენტულ შემადგენლობაში, ფქვილის ამ შეზავებაში, რისგანაც ცხვება პური". ნამდვილად სუფთა ხორბლის ფქვილს შეიძლება მიემატოს 30%-ც ქერის ფქვილისა, მხოლოდ თუ იქნება ის ხორბლის ფქვილი, რომელსაც ახლა ღებულობენ პურის საცხობებში (მასში უკვე ურევია 10% ქერის ფქვილისა) 20% მეტი ქერის ფქვილის გარევა შეუძლებელია (დამატება №№ 54 და 55).

პურის ზომა.

წარმოსადგენია 2 გამოსავალი ამ მდგომარეობიდან: უნდა შემცირდეს % ქერის ფქვილისა, ან შემცირდეს ზომა პურისა (ეხლა 9—10 გირვანქა თითო პური).

როგორც ერთი, ისე მეორე შეუძლებელია თანამედროვე პირობებში. მომარაგების სამინიმტრო ადგილებიდან ღებულობს მეტ ქერს, ვიდრე ხორბალს და ჯერ-ჯეროობით არ შეუძლიან კანადის და ხორბლის ფქვილის დიდი რაოდენობით მოცემა.

პურის ზომის შემცირება 3—4 გირვანქამდე თითო აუცლებლად გაუმჯობესებდა მის ღირსებას და შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ პური იქნებოდა ნაკლებ სველი და მძიმე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ერთი-ორად დაეცემოდა პურის საცხობების წარმოება და მუშათა მაგიდის მომხმარებელთა ნაწილი დარჩებოდა სრულიად უპუროდ, ან მოგვიხდებოდა ულუფის ერთი გირვანქიდან ნახევარ გირვანქამდე დაკლება, რაზედაც სახელმწიფო არ დასთანხმდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დროზედ პურის არ მიცემა.

გამგეობის წინააღმდეგ უკანასკნელი ბრალდება—ეს თავის დროზედ პურის არ მიცემაა. მაგრამ შეიძლება დაედოს გამგეობას ბრალი, თუ ერთხელ ოდესღაც მან ვერ გამოუშვა პური თავის დროზედ, როდესაც ხორბლის და ფქვილის თუნდაც სამი დღის თადარიგის უქონლობის გამო მას უხდებოდა და ახლაც უხდება იყოლიოს ქარავანი ლოდინში რკინის გზის ლიანდაგთან: აი ,აი ეხლა საცაა მოვა ხოლბლით დატვირთული ვაგონი, ხოლო ფქვილი წისქვილიდან უნდა გადაიზიდოს ჯერედ ისევ თბილი პურის საცხობში, პირდაპირ წისქვილის ქვიდან გამოღებული, რაიც ნორმალურად პირდაპირ დაუშვებელია.

ბრალი თუ უბედობა.

აი ამ გვარია ის მძიმე ობიექტიურად გამგეობის დამოუკიდებლად შექმნილი პირობები, რომლითაც ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელი იყო პურის ლირსების გაუმჯობესება. ძირითადი ბოროტება მდგომარეობდა არა იმ დეფეკტებში, რომელთაც ალაგი ჰქონდათ წისქვილებზედ და პურის საცხობებში, რომელთა თავიდან ასაცილებლად გამგეობის მიერ მიმართული იყო ყოველივე ცდა ამ დარგში მთელი დროის მუშაობის განმავლობაში, არამედ საერთო მძიმე პირობებში, რომელშიაც სახელმწიფოს და ქალაქს უხდებათ ამ საქმის წარმოება, იმაში, რომ არც წისქვილებში არც პურის საცხობებში ტეხნიკის მხრივ ვერ ალმომჩნენ მომზიდებელნი უცაბედად შეცვლილ მდგომარეობის დროს.

პროფესიონალურ კავშირის საბჭოს მუშათა კომისია, რომელმაც სპეციალურად გამოიკვლია ეს საკითხი, ასე ასურათებს თავის დასკვნას: „უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა შორის ტრიალებდა აზრი, რომლის ძალითაც ბრალი ედებოდათ ცალკე პიროვნებებს. არ შეიძლება დაფარვა, რომ ამაში დამნაშავე იყვნენ, თვითეულად ვინმე, მაგრამ უპირველესად ყოვლის მთავარი დანაშაული უნდა ვეძიოთ ჩვენს მოუმზადებლობაში, ტეხნიკურ-მოუწყობლობაში და მოსაწყობად საჭირო მასალის უქონლობაში.

„პირველი ყურადღება უნდა მიექცეს შესაძენ ხორბლის ლირსებას, რომ მასში ნაკლებად იყოს ნაგავი“. რომ ეს ასეა, რომ ობიექტიურად არსებულ პირობებში ჩვენ ვერ მივაღწევთ განსაკვიფრებელ შედეგებს, ამას ყველიზედ კარგად ამტკიცებს ის, რომ პური ასე თუ ისე რჩება ისევ იმ ლირსებისავე, თუმცა გამგეობის მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომებისა მის გასაუმჯობესებლად (სავსებითი რეორგანიზაცია სატეხნიკო საზედამხედველოსი, მოწესრიგება გადაზიდვისა, სასუფთავებელ მანქანების შეკეთება, მთელი ხორბლის სანიავებელ მანქანაში გატარება, საცრების შეკეთება პურის საცხობებში და სხვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა